ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს თამარისის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე:** ქეთევან ბაცანკალაშვილი **წევრი:** ია ქურიძე

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ <u>ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება</u>

გეგმიური

☒ **<u>არაგეგმიური</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს თამარისი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ: 446966025

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. ბათუმი
იურიდიული მისამართი	საქართველო, ქობულეთი, ს. ალამბარი, 1-ლი, VII ჩიხი, N2
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ბათუმი, რისმაგ გორდეზიანის ქუჩა, N 3ა
საფოსტო ინდექსი	6000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://tamarisi1.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tamarisibat@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599130342

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	შპს თამარისის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 15 მარტის MES 2 24 0000312582 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	25 მარტი, 2024 წელი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2024 წლის 06 მარტს, 11 მარტსა და 12 მარტს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა N0277164, N0 290325 და N0296529 კორესპონდენცია ზოგადსაგნამანათლებლო დაწესებულება შპს თამარისში (ქ. ბათუმი), არასწრულწლოვანის მიმართ განხორციელებული შესაძლო ბულინგის შესახებ.

ცენტრში წარმოდგენილ კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2024 წლის 9 თებერვალს, ქ. ბათუმის ერთ-ერთი კერძო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე (უცხო ქვეყნის მოქალაქე) თანაკლასელებმა, სავარაუდოდ, საკლასო ოთახში გააშიშვლეს და სცემეს. არსებული ინფორმაციით, აღნიშნულს შეესწრო პედაგოგიც, რომელსაც არ მოუხდენია შესაბამისი რეაგირება. მედიის ცნობით, ხსენებული არ წარმოადგენს ბავშვის მიმართ ძალადობისა და ბულინგის ერთადერთ ფაქტს და მის მიმართ თანაკლასელების მხრიდან წარსულშიც ჰქონდა ადგილი შესაძლო ძალადობის სხვა შემთხვევებს, რაზეც, არსებული ცნობით, სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან არ მომხდარა შესაბამისი რეაგირება. მედიის ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კორესპონდენციაში ასახული გარემოებების შესასწავლად, ცენტრის მიერ სკოლაში მივლენილ იქნა ექსპერტთა ჯგუფი, რომლებმაც შეიმუშავეს ვიზტის დღის წესრიგი (დანართი N 1). დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხების მიხედვით, ექსპერტთა მიერ განხორციელდა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის შემუშავება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
210	176

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული მტკიცებულებები, რომლებიც სრულად გაიზიარეს ექსპერტებმა. შედეგად, დასკნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზების ნაწილი სრულად აღმოიფხვრა, რამდენიმე გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო ერთი ინდიკატორი დაკმაყოფილდა ნაწილობრივად.

ინდიკატორი N3.1.2.3 – გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში;
ინდიკატორი N 3.1.2.4 – სრულად დაკმაყოფილდა;

ინდიკატორი N 3.4.1.1 – გადავიდა ნაწილობრივ შესაბამისობაში დაწესებულების მიერ გაწერილი შესრულების ვადების გამო (18.04.2024 – 18.05.2025);

ინდიკატორი N 4.1.2.2 – სრულად დაკმაყოფილდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი II: სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

კომპონენტი 4.1 **მოსწავლეთა უფლებების დაცვა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.2 **მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***ხარვეზი***
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***ხარვეზი***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/ და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N...		
N3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	***სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (18.07.2024) უზრუნველყოს:*** 1. *მასწავლებლების ვაკანტურ პოზიციებზე შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;* 2. *მოიპოვოს ცნობები სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე, კერძოდ: ცნობა ნასამართლეობის შესახებ (მასწავლებლის შემთხვევაში), ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ და ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ.*

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

N 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);*	***სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (18.05.2025) უზრუნველყოს:*** 1. *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან.* 2. *მიმართოს უფლებამოსილ უწყებას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.* 3. *უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
N 3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	*სკოლას მიეცა **რჩევა,** შპს ,,ეტალონთან'' გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწეროს დაქირავებული პერსონალის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო ცნობების (სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ) წარმოდგენის ვალდებულება და გააკონტროლოს აღნიშნული ცნობების არსებობა.*
N 3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;*	*სკოლას მიეცა **რჩევა,** შპს ,,ეტალონთან'' გაფორმებულ ხელშეკრულებაში დეტალურად გაწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



N 3.4.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;*	*სკოლას მიეცა **რჩევა,** შენობაში გამოაკრას სახალხო დამცველის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირის ტელეფონის ნომრები. აგრეთვე, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და აარ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცხელი ხაზების ნომრები.*
N 3.4.1.4	*სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;*	*სკოლას მიეცა **რჩევა,** ფსიქოლოგის პოზიციაზე დაასაქმოს კვალიფიციური ფსიქოლოგი, რითაც ხელმისაწვდომს გახდის ფსიქოლოგის სერვისის მიწოდებასა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს განმტკიცებას.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**	***რჩევა***
N4.2.4.2	*სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;*	*სკოლას მიეცა **რჩევა** მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მკაფიოდ გაწეროს, რომ მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „ეტალონთან" გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში და აღნიშნული ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებით.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

<u>ვიზიტის აღწერილობა და ექსპერტთა მიგნებები</u>

ცენტრში შემოსულ კორესპონდენციაში აღწერილი გარემოებებისა და ვიზიტის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა ერთდღიანი ვიზიტი განახორციელა სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შესწავლის, სკოლის მიერ მოსწავლეთა მხარდაჭერის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ასახული პროცესების შესრულების შემოწმებისა, და მონიტორინგის საფუძვლებში აღწერილ ინციდენტზე სკოლის რეაგირების მოკვლევის მიზნით. ვიზიტის დროს, გამოთხოვილ იქნა მოსწავლეთა მხარდაჭერისა და უსაფრთხოების მარეგულირებელი დოკუმენტაცია, შემოწმდა მოსწავლეებთან მომუშავე პერსონალის კვალიფიკაცია, შესწავლილ იქნა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოება და ვიდეო-მონიტორინგის სისტემები, განხორციელდა არაერთი ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

ვიზიტის დროს დაფიქსირებული მიგნებების ცხადად და ლაკონიურად აღწერის მიზნით, დასკვნის ამ ნაწილში წარმოგიგდენთ ინციდენტთან დაკავშირებულ გარემოებებს, ვიზიტის დროს გამოკვეთილ სხვა მნიშვნელოვან მიგნებებს და მათთან დაკავშირებული რამდენიმე ინდიკატორის აღწერილობას.

მონიტორინგის საფუძვლებში აღწერილ ინციდენტთან დაკავშირებული გარემოებები

1. სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები და მშობლები არ ადასტურებენ მოსწავლის გაშიშვლებისა და ცემის ფაქტს. ინციდენტი მოხდა პირველი კლასის მოსწავლეებს შორის, გაკვეთილების შემდგომ, გახანგრძლივებული სწავლების დროს. ადმინისტრაციის განცხადებით, აღნიშნული კლასის გახანგრძლივებულის პედაგოგი სკოლაში არ იმყოფებოდა ჯანმრთელობის პრობლემის გამო. ამიტომ ორ პარალელურ ჯგუფს ზედამხედველობდა მეორე ჯგუფის პედაგოგი. ინციდენტის დროს, მასწავლებელი გასული იყო მეორე ჯგუფის ოთახში, დავალების ინსტრუქტაჟის მიზნით. ამ დროს, პირველკლასელ მოსწავლეს თავად აუწევია ხელები ზემოთ, რის შემდგომაც ჩასძვრა შარვალი. სასკოლო საზოგადოება აღნიშნავს, რომ მოსწავლე ხშირად ატარებდა დიდი ზომის ტანსაცმელს და ასეთი რამ მას ადრეც გაუკეთებია (მშობლები და სკოლის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ არსებობს ერთ-ერთი ღონისძიების ვიდეო-ჩანაწერი, სადაც წინა შემთხვევაა დაფიქსირებული და იწვევს ბავშვების მხიარულებას. ისინი გამოთქვამენ ვარაუდს, რომ საკლასო ოთახში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მომხდარი ინციდენტიც, სწორედ გამხიარულებისა და ყურადღების მიპყრობის მიზნით მოხდა). ინციდენტის დროსაც, მოსწავლეთა ჯგუფში აღნიშნულმა ფაქტმა გამოიწვია მხიარულება და თავად მოსწავლისთვისაც ეს იყოს ხუმრობის საგანი. მასწავლებლი ჯგუფის ოთახში მალევე (დროის ინტერვალი ფასდება როგორც 1–2 წუთი) დაბრუნდა და მაშინვე მოახდინა რეაგირება. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების შეფასებით, ინციდენტი სწრაფად დასრულდა და მასში მონაწილე ბავშვების მხრიდან, იმ მომენტში, არ გამოხატულა ნეგატიური ემოცია.

2. ადმინისტრაციის დახასიათებით, მოსწავლე კლასელებს წინ უსწრებდა ფიზიკური და გონებრივი განვითარებით; მისთვის ნაცნობი და მარტივად დაძლევადი იყო პირველი კლასის პროგრამა. აღსანიშნავია, რომ ამ კლასის მოსწავლეთა უმრავლესობა არაქართულენოვანია. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნულ მოსწავლეს ჰქონდა მცირედი უთანხმოებები თანაკლასელებთან, ძირითადად სპორტის გაკვეთილებზე, როცა მოსწავლეს უჭირდა სპორტული ინვენტარის სხვებისთვის გაზიარება. დამრიგებელი აღნიშნავს, რომ ბავშვს არ ჰქონია მკვეთრად გამოხატული უთანხმოება თანაკლასელებთან, თუმცა პერიოდულად ჰქონდა მათთან კომუნიკაციის პრობლემა. ამ ყველაფრის გამო, სკოლა აღნიშნავს, რომ მშობელს ჯერ კიდევ ინციდენტამდე ურჩია ფსიქოლოგთან კონსულტაცია და კლასის შეცვლა, რაზეც მშობელმა უარი განაცხადა.
3. სკოლა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციამ მომხდარის შესახებ გაიგო მშობლებისგან, რომლებთანაც ინფორმაცია სოციალური ქსელის შიდა დახურულ ჯგუფში გავრცელდა, რის შემდეგაც ადმინისტრაციამ დაიწყო საკითხის შესწავლა. კონკრეტულად კი, ჰქონდა შეხვედრა როგორც აღნიშნული მოსწავლის მშობლებთან, ისე კლასის სხვა მშობლებთან. სკოლის დამფუძნებელი გაესაუბრა მოსწავლეებსაც ასაკის შესაბამისი მიდგომებით. დაიგეგმა და განხორციელდა კლასში მოსწავლეთა დამეგობრების სესიები, შეხვედრები მოწვეულ ფსიქოლოგთან და კლასის მოხალისე მშობლებთან, რომლებსაც ჰქონდათ შესაბამისი განათლება. აღნიშნულს ადასტურებენ მშობლები გასაუბრებისას და კმაყოფილებას გამოთქვამენ ადმინისტრაციის მხრიდან გადადგმული ნაბიჯების თაობაზე. მშობლები ასევე მადლიერებას გამოთქვამენ სკოლის კოორდინატორის მიმართ, ვისაც ევალება უცხოენოვან მშობლებთან კომუნიკაცია და სასწავლო პროცესის ორგანიზება. აღნიშნულ პირთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, ვინაიდან ის ვიზიტის მომენტში არ იმყოფებოდა საქართველოში, საზღვრის კვეთის ვალდებულების გამო.
4. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, მომჩივანი მშობლის უკმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ის არ დაკმაყოფილდა სკოლის მიერ გატარებული ზომებით და ითხოვდა ინციდენტში ჩართული მოსწავლეების სკოლიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გარიცხვას, რაზეც ადმინისტრაციისგან მიიღო უარყოფითი პასუხი. საბოლოოდ, თავად გადაიყვანა მოსწავლე და მიმართა პოლიციას საქმის გამოძიების მიზნით.

5. კლასის მოსწავლეთა მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი შემთხვევას ამოწურულად მიიჩნევენ.

ვიზიტის დროს გამოკვეთილი სხვა მნიშვნელოვანი მიგნებები

საგანმანათლებლო გარემო:

მნიშვენლოვანია აღინიშნოს, რომ ვიზიტი განხორციელდა საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში, მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის საფუძველი წარმოადგენდა სენსიტიურ და კომპლექსურ საკითს.

ვიზიტი განხორციელდა სასწავლო დღეს; აქედან გამომდინარე, ექსპერტებს შესაძლებლობა მიეცათ, ენახათ სკოლის სასწავლო გარემო, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და ადმინისტრაციის ინტერაქცია, ადმინისტრაციისა და მშობლების საქმიანი და კეთილგანწყობილი ურთიერთობა. აღსანიშნავია, რომ სკოლაში არის მულტიკულუტრული გარემო, ირიცხება არაერთი უცხოენოვანი მოსწავლე, განასაკუთრებით კი დაწყებით საფეხურზე. **არის კლასები, სადაც მოსწავლეთა უმრავლესობა არაქართულენოვანია.** მიუხედავად ამისა, ადმინისტრაცია და პედაგოგები აცხადებენ, რომ სასწავლო პროგრამის განხორციელების ენა ქართულია. სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერების დროს, ექსპერტები შეესწრნენ გაკვეთილებს, როცა პირველკლასელი მოსწავლეები შეისწავლიდნენ ქართულ ანბანს და ქართულად წერდნენ სავარჯიშო რვეულებში, თუმცა სკოლის წარმომადგენლების განცხადებით სხვა საგნებში მათ პერიოდულად ესაჭიროებათ მშობლიურ ენაზე ინსტრუქტაჟი. სკოლის დამფუძნებელმა აღნიშნა და სკოლასთან ადაპტაციის მიზნით, პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეებს ზაფხულის თვეებში ინტენსიურად უტარდებოდათ ქართული ენის კურსი, ვინაიდან სკოლის მიზანია, ყველა მოსწავლემ შეძლოს ქართულ ენაზე სრულფასოვანი განათლების მიღება.

დაწესებულება დღის მეორე ნახევარში მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებული სწავლების მომსახურებას. ამ მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს "ეტალონთან", რომელიც I-VII კლასის მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფს დამატებითი სერვისის მიწოდებას. სკოლასთან და გახანგრძლივებული სწავლების პედაგოგებთან გასაუბრებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დგინდება, რომ აღნიშნული სერვისი ძირითადად უცხოენოვან მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს (იხილეთ ინდიკატორი 4.2.4.2).

ადამიანური რესურსი

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების ადამიანური რესურსი, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სკოლაში უსაფრთხო და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნის მიმართულებით. პედაგოგთა კვალიფიკაციის კუთხით დაწესებულებაში დაფიქსირდა ხარვეზი; კერძოდ, სკოლაში დასაქმებული **8 მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მესამე პრიმა მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს.**

გარდა მასწავლებლებისა, სკოლაში დასაქმებულნი არიან შემდეგი პირები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ადმინისტრატორი, იურისტი, ექიმი, ბუღალტერი, საინფორმაციო მენეჯრი, დიასახლისი, დარაჯი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **ვიზიტის დროს, სკოლამ ვერ წარმოადგინა სკოლის ადმინისტრაციული და დამხმარე (ტექნიკური) პერსონალისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შიდა რეგულაცია, რის გამოც ვერ დადგინდა დასაქმებული პირების კვალიფიკაციების შესაბამისობა სკოლის შიდა რეგულაციასთან. ასევე თანამშრომელთა პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია (იხილეთ ინდიკატორები 3.1.2.3 და 3.1.2.4).**

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 18.04.2024-18.07.2024 პერიოდი.</u>
<u>სკოლამ ასევე წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც დგინდება, რომ 8 მასწავლებელთან, რომლებთანაც გასული იყო ხელშეკრულების მოქმედების ვადები, გაფორმდა მოწვეული მასწავლებლების ხელშეკრულებები 1 წლის ვადით, არაუმეტეს 9 საათზე, ხოლო დარჩენილ საათებზე გამოაცხადა ვაკანსია სხვადასხვა საგანში. შესაბამისობის გეგმას თან ერთვის მოწვეული მასწავლებლების ხელშეკრულებები და დირექტორის ბრძანება ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



<u>სკოლამ ასევე წარმოადგინა ნასამართლეობის ცნობები (ნასამართლეობის შესახებ (მასწავლებლის შემთხვევაში), სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ) თანამშრომელთა ნაწილთან დაკავშირებით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ხარვეზი აღმოფხვრას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.</u>

ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოება

ექსპერტებმა ყურადღებით შეისწავლეს სკოლის ინფრასტრუქტურა და საგაკვეთილო სივრცეები. დაფიქსირდა შენობაში უსაფრთხოების დაცვის, ექსპლოატაციაში შესვლისა და ინფრასტრუქტურის მდგრადობის ხარვეზები. კერძოდ, ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰქონდა **უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.**

სკოლის შენობა ხუთსართულიანია, თუმცა მეხუთე სართული არ ფიქსირდება საჯარო რეესტრის ამონაწერსა და შენობა-ნაგებობის საერთო ფართში. იქ განთავსებულია სპორტული დარბაზი, რომელსაც სკოლა იყენებს უამინდობის დროს სპორტის გაკვეთილებისთვის. გარდა ამისა, დაწესებულების მესამე სართულზე, სადაც არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, განთავსებულია საბავშვო ბაღი; სკოლას აქვს მხოლოდ ერთი შესასვლელი და შესაბამისად, ბაღის ტერიტორიაზე მოსახვედრად, გარეშე პირებმა, როგორიცაა ბაღის აღსაზრდელები და ბაღის პერსონალი, უნდა გაიარონ სკოლის შესასვლელი, პირველი და მეორე სართულების კიბეები. ქვეიჯარის ხელშეკურლებაში გაწერილია ქვემოიჯარის ვალდებულება დაიცვას უსაფრთხოების წესები, მათ შორის: ქვემოიჯარის პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს აღსაზრდელის შენობაში შემოყვანა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გარეშე პირთა, მათ შორის, მოსწავლეთა მშობლების სკოლის ტერიტორიაზე არ დაშვება. თუმცა, **ვინაიდან ბაღის ტერიტორიამდე მისასვლელი სივრცის გამიჯვნა ვერ ხერხდებოდა, ბაღის პერსონალის გადაადგილებით საფრთხე ექმნებოდა სკოლის მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას (იხილეთ ინდიკატორები 3.4.1.1 – 3.4.1.4).**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

სხვა მხრივ, სკოლის საკლასო ოთახები, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და სანიტარულ-ჰიგიენიური კვანძები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, უამინდობის დროს, კი იყენებს მეხუთე სართულზე განთავსებულ დარბაზს და მეოთხე სართულზე განთავსებულ სპორტულ კაბინეტს, სადაც მოწყობილია ჭადრაკისა და მაგიდის ჩოგბურთის სივრცეები.

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და შეთანხმება საბავშვო ბაღთან ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ 2024 წლის 01 მაისიდან</u>.

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ვიდეო-კამერების შესყიდვისა და კიბის უჯრედებში დამონტაჟების მტკიცებულებები</u>.

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა წყლის გამაცხელებლების დემონტაჟის მტკიცებულება</u>.

<u>არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნულია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით განხორციელდება სათანადო ღონისძიებები. ამ ეტაპზე ღონისძიების დაწყებას აფერხებს ის გარემოება, რომ დამატებითი მე-5 სართული უნდა დარეგისტრირდეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში; რეგისტრაცია განხორციელდება შენობაზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთის ფართობის დაზუსტების შემდეგ; რეგისტრაციის პროცესის დასრულებისთანავე, სკოლა მიმართავს შესაბამის ორგანოებს საჭირო დოკუმენტაციის მოსაპოვებლად (ვადა 18.04.2024 - 18.05.2024).</u>

მოსწავლეთა მხარდაჭერა

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები შპს თამარისს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

განსაზღვრული აქვს შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესში, გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტში მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ.

მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმი და თვითმმართველობის დებულება; მოსწავლეთა უფლებების დაცვის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი კი წარმოადგენს ადმინისტრირების მექანიზმის ხელშეწყობას მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სკოლის საქმიანობის მიზანია მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, მისი ღირსების დაცვა, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების განვითარებისა და მისთვის საუკეთესო ინტერესების დაცვა/რეალიზება. აღნიშნულიდან გამომდინარე, **მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარების შეფერხების რისკები ვიზიტის დროს არ დაფიქსირდა (იხილეთ იდნიკატორები 4.1.1.1, 4.1.1.2, 4.1.1.3, 4.1.2.1, 4.2.1.1, 4.2.1.2)**

აღსანიშნავია, რომ მეოთხე სტანდარტის შემოწმების ფარგლებში გამოვლინდა საყურადღებო გარემოება გახანგრძლივებულ მომსახურებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ ჰქონდათ ინფორმაცია სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურების თაობაზე გახანგრძლივებული ჯგუფის სახით და იღებდნენ აღნიშნულ მომსახურებას. თუმცა, მათი ინფორმაციით აღნიშნული მომსახურება ხორციელდებოდა უშუალოდ სკოლის პერსონალის მიერ და არ ფლობდნენ ინფორმაციას შპს ,,ეტალონთან" სკოლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების თაობაზე. სკოლასა და მშობლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება არ მოიცავდა პირობებს გახანგრძლივებული სწავლების შესახებ დამატებითი მომსახურების არსებობის თაობაზე. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში (2023 წლის 19 დეკემბრის ცვლილებების გათვალისწინებით) არსებული ჩანაწერის თანახმად, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობდა.

გარდა ამისა, შპს თამარისმა წარმოადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დასკვნები მოსწავლეების უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე, თუმცა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა თითოეული მოსწავლისთვის შემუშავებული და დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ეროვნული სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გეგმით გათვალისწინებულ იმ საგნებში, რომლებთან შესაბამისობაც ვერ დადგინდა უცხოეთში მიღებული განთლების აღიარების პროცედურის საფუძველზე **(იხილეთ იდნიკატორები 4.1.2.2, 4.2.4.2).**

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოდგინა თითოეული მოსწავლისთვის შემუშავებული და დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლამ ასევე წარმოადგინა მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები გახანგრძლივებული ჯგუფის ფარგლებში მომსახურების გაწევის თაობაზე.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია ვაკანტურ პოზიციაზე მასწავლებლისა და სხვა თანამშრომლის მიღების წესი. კერძოდ, მასწავლებლის მიღება ხდება შიდა ან/და ღია კონკურსის საფუძველზე, ხოლო სხვა თანამშრომლის დირექტორთან გასაუბრებით.
ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა სკოლის პერსონალის სია eschool.emis.ge-ს ელექტრონულ სისტემაში, რომლითაც დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 29 მასწავლებელი. მათგან 8 მასწავლებელი დასაქმებული იყო სტატუსის გარეშე, იმ პირობით, რომ 2 წლის ვადაში გაივლიან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. აღსანიშვია, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

ექსპერტთა ვიზიტი დროს გასული იყო აღნიშნული უსტატუსო მასწავლებლების ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2 წლიანი ვადა და აღნიშნული მასწავლებლები კვლავ რჩებოდნენ დაკავებულ პოზიციებზე სტატუსის გარეშე. **ვადის გასვლის შემდეგ, აღნიშნულ 8 უსტატუსო მასწავლებელთან არ იყო განახლებული ვადაგასული ხელშეკრულებები.**

სკოლის შინაგანაწესის თანახმდ, სკოლაში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც კანონმდებლობით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად ინახება წახალისების (მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელი), დისციპლინური სახდელების, სახდელის მოხსნისა და გათავისუფლების შესახებ ბრძანების ასლები, ავტობიოგრაფია/CV, ფოტოსურათის, პირადობის მოწმობისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების, სერტიფიკატების ასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). პირადი საქმეების დათვალიერებით დადგინდა, რომ **სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის პირად საქმეში არ არის განთავსებული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები, კერძოდ: ცნობა ნასამართლეობის შესახებ (მასწავლებლის შემთხვევაში), ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ და ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ.**

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას დადგინდა, რომ გახანგრძლივებული სწავლების მომსახურებას ახორციელებს შპს ,,ეტალონთან'' გაფორმებული მომსახურების საფუძველზე, I–VII კლასის მოსწავლეებისათვის.

სკოლას მიეცა **<u>რჩევა</u>** შპს ,,ეტალონთან'' გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწეროს დაქირავებული პერსონალის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო ცნობების **(სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ)** წარმოდგენის ვალდებულება და გააკონტროლოს აღნიშნული ცნობების არსებობა.

<u>შენიშვნა</u>: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შპს ,,ეტალონთან'' გაფორმებული შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ნასამართლეობის ცნობების წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 18.04.2024-18.07.2024 პერიოდი.</u>

<u>სკოლამ ასევე წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც დგინდება, რომ 8 მასწავლებელთან, რომლებთანაც გასული იყო ხელშეკრულების მოქმედების ვადები, გაფორმდა მოწვეული მასწავლებლების ხელშეკრულებები 1 წლის ვადით, არაუმეტეს 9 საათზე, ხოლო დარჩენილ საათებზე გამოაცხადა ვაკანსია სხვადასხვა საგანში. შესაბამისობის გეგმას თან ერთვის მოწვეული მასწავლებლების ხელშეკრულებები და დირექტორის ბრძანება ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე.</u>

<u>სკოლამ ასევე წარმოადგინა ნასამართლეობის ცნობები (ნასამართლეობის შესახებ (მასწავლებლის შემთხვევაში), სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ) თანამშრომელთა ნაწილთან დაკავშირებით.</u>

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ხარვეზი აღმოფხვრას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.</u>

<u>ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.</u>

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

eschool.emis.ge-ს ელექტრონული სისტემიდან დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული 29 მასწავლებლიდან 17 მასწავლებელს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 1 მასწავლებელს წამყვანის მასწავლებლის სტატუსი, 3 მასწავლებელი დასაქმებულია მასწავლებლობის მაძიებლად, ხოლო 8 მასწავლებელი დასაქმებულია სტატუსის გარეშე, იმ პირობით, რომ 2 წლის ვადაში გაივლიან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. აღსანიშვია, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს გასული იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აღნიშნული უსტატუსო მასწავლებლების ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2 წლიანი ვადა და ისინი კვლავ რჩებოდნენ დაკავებულ პოზიციებზე სტატუსის გარეშე. აღნიშნულ 8 მასწავლებელს არ ჰქონდა შესრულებული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის საჭირო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და შესაბამისად, **სკოლაში დასაქმებული 8 მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 21-ე მესამე პრიმა მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს.**

გარდა მასწავლებლებისა, სკოლაში დასაქმებულია შემდეგი პირები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ადმინისტრატორი, იურისტი, ექიმი, ბუღალტერი, საინფორმაციო მენეჯრი, დიასახლისი, დარაჯი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ვიზიტის დროს, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სკოლის ადმინისტრაციული და დამხმარე (ტექნიკური) პერსონალისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შიდა რეგულაცია.

როგორც დადგინდა, გახანგრძლივებული სწავლების მომსახურებას ახორციელებს შპს ,,ეტალონთან'' გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, I-VII კლასის მოსწავლეებისათვის. შპს ,,ეტალონს'' ნაკისრი აქვს ვალდებულება პერსონალი შეარჩიოს სკოლასთან შეთანხმებით იმგვარად, რომ მათი კვლიფიკაცია შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ხელშეკრულებაში არ იყო განსაზღვრული კონკრეტულად რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პერსონალი, რომელიც შპს ,,ეტალონთან'' გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გაუწევს მომსახურებას სკოლის მოსწავლეებს.

ვინაიდან არც საქართველს კანონმდებლობა განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს იმ მომსახურების გამწევ პირთათვის, რომლის მიწოდებაც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების მიღმა დამატებითი მომსახურების ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს, სკოლას მიეცა **<u>რჩევა</u>** შპს ,,ეტალონთან'' გაფორმებულ ხელშეკრულებაში დეტალურად გაწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



<u>შენიშვნა</u>: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შპს ,,ეტალონთან''გაფორმებული შეთანხმება, რომლითაც ცვლილება შევიდა არსებულ ხელშეკრულებაში და განისაზღვრა საკვალიფიკაციო მოთხოვნები იმ პირებისთვის, რომლებიც შპს ,,ეტალონთან'' გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გაუწევს მომსახურებას სკოლის მოსწავლეებს.

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც დგინდება, რომ 8 მასწავლებელთან, რომლებთანაც გასული იყო ხელშეკრულების მოქმედების ვადები, გაფორმდა მოწვეული მასწავლებლების ხელშეკრულებები 1 წლის ვადით, არაუმეტეს 9 საათზე, ხოლო დარჩენილ საათებზე გამოაცხადა ვაკანსია სხვადასხვა საგანში. შესაბამისობის გეგმას თან ერთვის მოწვეული მასწავლებლების ხელშეკრულებები და დირექტორის ბრძანება ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე. ასევე, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შიდა დოკუმენტი თანამშრომლეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ.</u>

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შრომითი ხელშეკრულებები;
2. პერსონალის პირადი საქმეები;
3. სკოლის შინაგანაწესი
4. შპს ,,ეტალონთან'' გაფორმებული ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სკოლის შენობაში გარეშე პირთა გადაადგილებას აკონტროლებს სკოლის დარაჯი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადენლის მიღების დღეები და საათები. სხვა დღეებსა და საათებში სკოლის ტერიტორიაზე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ სკოლის დირექციასთან შეთანხმებით. სკოლას შიდა ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში დასაქმებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას და ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ შენობის მე-3 სართულზე, სადაც არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე განთავსებულია საბავშვო ბაღი. სკოლას აქვს მხოლოდ ერთი შესასვლელი და შესაბამისად, ბაღის ტერიტორიაზე მოსახვედრად, გარეშე პირებმა, როგორიცაა ბაღის აღსაზრდელები და ბაღის პერსონალი, უნდა გაიარონ სკოლის შესასვლელი, პირველი და მეორე სართულების კიბეები. ქვეიჯარის ხელშეკურლებაში გაწერილია ქვემოიჯარის ვალდებულება დაიცვას უსაფრთხოების წესები, მათ შორის: ქვემოიჯარის პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს აღსაზრდელის შენობაში შემოყვანა იმგვარად, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



უზრუნველყოფილ იქნას გარეშე პირთა, მათ შორის, მოსწავლეთა მშობლების სკოლის ტერიტორიაზე არ დაშვება.

ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ვინაიდან ბაღის ტერიტორიამდე მისასვლელი სივრცის გამიჯვნა ვერ ხერხდებოდა, ბაღის პერსონალის გადაადგილებით საფრთხე ექმნებოდა სკოლის მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. <u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და შეთანხმება ქვეიჯარის შეწყვეტის შესახებ 2024 წლის 01 მაისიდან</u>.

ვიდეომონიტორინგის განსახორციელებლად, სკოლის ტერიტორიაზე, შიდა და გარე პერიმეტრზე, დამონტაჟებულია ვიდეოკამერები. ვიდეომონიტორინგს ახორციელებს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირი.

ვიზიტის დროს, სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებით დადგინდა, რომ ვიდეოკამერები არ იყო განთავსებული ყველა სართულის კიბის უჯრედში და შესაბამისად, არ მიმდინარეობდა შენობის პერიმეტრის სრული ვიდეომონიტორინგი. <u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ვიდეო-კამერების შესყიდვისა და დამონტაჟების მტკიცებულებები</u>.

სკოლის შენობის მე-3 და მე-4 სართულის დერეფნებში დამონტაჟებული იყო ბუნებრივ აირზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი მოწყობილობები. <u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა წყლის გამაცხელებლების დემონტაჟის მტკიცებულება</u>.

სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის შენობა შედგება 5 სართულისგან, ხოლო საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულია 4 სართული. სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განმარტა, რომ შენობის მე-5 სართულის მოწყობა განახორციელა ბოლო წლებში, სადაც განათავსა სპორტული დარბაზი და ოთახები. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით მე-5 სართულზე მდებარე სპორტულ დარბაზს იყენებს ცუდ ამინდებში სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სართულის ექსპლოატაციაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლას არ აქვს. **სკოლამ ვიზიტის დროს ასევე ვერ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გეგმა და მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. აგრეთვე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

<u>არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნულია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით განხორციელდება სათანადო ღონისძიებები. ამ ეტაპზე ღონისძიების დაწყებას აფერხებს ის გარემოება, რომ დამატებითი მე-5 სართული უნდა დარეგისტრირდეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში; რეგისტრაცია განხორციელდება შენობაზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთის ფართობის დაზუსტების შემდეგ; რეგისტრაციის პროცესის დასრულებისთანავე, სკოლა მიმართავს შესაბამის ორგანოებს საჭირო დოკუმენტაციის მოსაპოვებლად (ვადა 18.04.2024 - 18.05.2024).</u>

<u>ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.</u>

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და მედიკამენტებით. სკოლას დასაქმებული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოაჩენას და სამედიცინო სერვისის მიწოდებას.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

<u>3.</u> სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას შიდა ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც შედგენილია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. აღნიშნულ დოკუმენტსა და სკოლის შინაგანაწესში გაწერილია ის ქმედებები, რომლებიც ითვლება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად და სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია მათი დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომები. სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის ტერიტორიაზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების მართვის ცხელი ხაზის (112) ნომერი.

სკოლას მიეცა **<u>რჩევა,</u>** შენობაში გამოაკრას სახალხო დამცველის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირის ტელეფონის ნომრები. აგრეთვე, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და აარ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცხელი ხაზების ნომრები.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლის მიერდამტკიცებული საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის წესის და პირობების მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას:

- ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ;
- დისკრიმინაციის წინააღმდეგ;
- ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას სკოლა აწარმოებს შემდეგი გზით:

- დისკუსიების/დებატების მოწყობით;
- საკლასო/სასკოლო ესეების კონკურსის გამართვით;
- საკლასო/სასკოლო ნახატების კონკურსის გამართვით;
- სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებით;
- საკლასო/სასკოლო თეატრალური წარმოდგენების გამართვით;
- ფილმების/ვიდეორგოლების ჩვენებით;
- როლური თამაშების გამართვით;
- სხვადასხვა ხასიათის კვირეულების მოწყობით (მაგ: დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული);
- უმაღლესი საგანმანათლებლოდაწესებულების ფსიქოლოგიის / სამართლის / სოციალურიმუშაობის მიმართულების ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტების ან / და მაგისტრანტებისა და მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზებით;
- შესაბამის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებთან მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზებით და სხვა;

ამავე წესის თანახმად, მოსწავლეებს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოლოგიური დახმარების მიღება შეუძლიათ სკოლის ფსიქოლოგთან, რომელმაც ფსიქოლოგიური დახმარების ფარგლებში მოსწავლეს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელსა და მასწავლებელს კონსულტაცია უნდა გაუწიოს პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებთან დაკავშირებით, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლას არ ჰყავდა დასაქმებული ფსიქოლოგი.

სკოლას მიეცა **<u>რჩევა</u>**, ფსიქოლოგის პოზიციაზე დაასაქმოს კვალიფიციური ფსიქოლოგი, რითაც ხელმისაწვდომს გახდის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ფსიქოლოგის სერვისის მიწოდებასა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს განმტკიცებას.
სკოლის მიერ შემუშავებულ ჩარჩო-რეგულაციაში მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ, გაწერილია ბულინგის პროფილაქტიკის მიზნით სკოლის მიერ განსახორციელებელი მიმართულებები და ეტაპები.

ექსპერტთა ვიზიტის ეტაპზე არ გამოიკვეთილა ისეთი გარემოებები, რომლებიც ეჭვქვეშ დააყენებს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს არსებობას. სკოლის მიერ გადადგმული ნაბიჯები, ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციაში გაწერილი ზომების აღსრულებას, რაც გასაუბრებისას დაადასტურეს სკოლის ადმინისტარციის წარმომადგენლებმა და მოსწავლეთა მშობლებმა.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის წესისა და პირობების მარეგულირებელი შიდა დოკუმენტი;
3. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსზღვრის ბრძანება;
4. სკოლის შინაგანაწესი;
5. ქვეიჯარის ხელშეკრულება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა სხვადასხვა ზომებით, რომლებიც სკოლაში მოსწავლეთა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის გარანტიას წარმოადგენს. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის კანონით უზრუნველყოფილი უფლებების დაცვას, როგორიცაა მაგალითად დისციპლინირებული გარემო, უსაფრთხო გარემო. შინაგანაწესით დადგენილია მშობლებთან შეხვედრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

დღეები და დრო, როდესაც მშობელს შეუძლია წინასწარი შეთანხმების გარეშე შეხვდეს კლასის დამრიგებლებს და გაეცნოს სასურველ ინფორმაციას.
ყველა მშობელთან სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების თაობაზე, სადაც გაწერილია მხარეთა უფლებები და მოვალეობები. სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინფორმირებას სურვილის შემთხვევაში განათლების ექსტერნატის ფორმით მიღების შესაძლებლობაზე. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს სკოლაში მოსწავლეთა მიღების, სტატუსის აღდგენის, უცხოეთში მიღებული განათლების აღაირების წესები, რითაც უზრუნველყოფილია მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვა და აქტიური მონაწილეობა და განათლების უფლების რეალიზაცია. შინაგანაწესში გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ხოლო მოსწავლეთა მოვალეობები უფლებებთან ერთად განსაზღვრულია სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტში მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლის მიერ დამრიგებლების მეშვეობით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება მოსწავლის ქცევის კოდექსის, შინაგანაწესის, უსაფრთხოების წესების შესახებ. კლასების დამრიგებლების რეგულარულად მართავენ მშობელთა კრებებს მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით.სკოლის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტები და დოკუმენტები ემსახურება მოსწავლის უფლებების რეალიზებისთვის გარანტიების შექმნას. მათ შორის სკოლის შინაგანაწესი, რომელსაც სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს და ასევე სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.
სრულწლოვან მოსწავლეს ან არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს თავისი უფლებების დაცვის მიზნით შეუძლია, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო გადაწყვეტილებები. სკოლას შინაგანაწესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გაწერილი აქვს განცხადების / საჩივრის განხილვის წესი. ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება მოსწავლის უფლების რეალიზებას სკოლის საქმეთამმართველის მიერ ეცნობება დამრიგებლებს, ხოლო დამრიგებლების მიერ მშობლებს და თუ არ შეიცავს პერ სონალურ მონაცემებს, გამოიკვრება საინფორმაციო დაფაზე (მაგ. დებულებები, ინსტრუქციები, გამოცდების შესახებ ინფორმაცია და სხვა).

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლას ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მშობელს. სკოლასა და მშობელს შორის ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადები და შეწყვეტის პირობები და სხვა მნიშვნელოვანი პირობები.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
5. სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის შიდა მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესი ადგენს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვის, მათ შორის სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობით ჩარიცხვის რეგულაციას, განსაზღვრავს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას. დოკუმენტი, ადგენს პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაციის პირობებსა და ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს. გარდა ამისა, შიდა რეგულაციები ითვალისწინებს უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების პროცედურით მოსწავლის ჩარიცხვის წესს. სკოლას შიდა რეგულაციებში სკოლას გაწერილი აქვს საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებიც.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ვიზიტის დროს შეისწავლა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის შიდა მარეგულირებელი წესის დაცვისა და აღსრულების პროცესი. შესწავლილ იქნა ბრძანებები, რომლებსაც სკოლა გამოსცემს მოწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და კლასის/საფეხურის დაძლევისას. აღნიშნული ბრძანებები გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. საკითხის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ სკოლაში ირიცხებიან მოსწავლეები უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების დანართი N1-ით დამტკიცებული ,,საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის'' მე-7 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, პირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ირიცხება განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტში მითითებული კლასის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტიდან არ ირკვევა, თუ რომელ კლასში აქვს პირს მიღებული განათლება, იგი ირიცხება ასაკის შესაბამის ან, მისი თანხმობის შემთხვევაში, უფრო დაბალ კლასში. პირი უფლებამოსილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაძლიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ან ექსტერნატის ფორმით.

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დასკვნები აღნიშნული მოსწავლეების უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე, თუმცა ვერ წარმოადგინა თითოეული მოსწავლისთვის შემუშავებული და დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ იმ საგნებში, რომლებთან შესაბამისობაც ვერ დადგინდა უცხოეთში მიღებული განთლების აღიარების პროცედურის საფუძველზე. ასევე, მოსწავლეებს შესაბამისი საგნები არ ჰქონდათ დაძლეული ექსტერნატის ფორმით.

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოდგინა თითოეული მოსწავლისთვის შემუშავებული და დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ იმ საგნებში, რომლებთან</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



<u>შესაბამისობაც ვერ დადგინდა უცხოეთში მიღებული განთლების აღიარების პროცედურის საფუძველზე.</u>

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი;
2. მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის ბრძანებები;
3. უცხოეთში მიღებული განთლების აღიარების დასკვნები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერის არსებობა. წესი ადგენს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებსა და მნიშვნელოვან ფაქტორებს, პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის პრინციპებს და მოსწავლეთა წარმატებული ადაპტაციის რეკომენდაციებს.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სკოლა მოსწავლის ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესში ჩართვისთანავე მიმართავს მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობ ღონისძიებებს. სასწავლო წლის დაწყებისას პირველ დღეს სასწავლო პროცესი ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების/აქტივობის მიზანია სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს და მოსწავლეებს. ასევე, მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს; ახალ მოსწავლეს პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას; სკოლა უზრუნველყოფს ახლადჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას (სააქტო დარბაზის, ლაბორატორიების, კაბინეტების, ეზოს და სხვა ტერიტორიების გაცნობას). დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს მოსწავლის განწყობას სასკოლო ცხოვრების შესახებ.

სკოლა აფასებს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის კუთხით არსებულ გამოწვევებს და ადგენს მიზეზებს. ადაპტაციის ღონისძიებების გატარების პროცესში აქტიურად ერთვება მშობელი.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას დადგინდა, რომ გახანგრძლივებული სწავლების მომსახურებას სკოლა ახორციელებს შპს ,,ეტალონთან'' გაფორმებული მომსახურების საფუძველზე. ხელშეკრულების საგანია სკოლის ბაზაზე პირველი-მეშვიდე კლასის მოსწავლეების მომზადება გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფში, საგაკვეთილო პროცესის შემდეგ, არაუგვიანეს 17:00 საათამდე. ხელშეკრულების თანახმად, შპს ,,ეტალონი'' ვალდებულია დაიცვას უსაფრთხოების ნორმები.

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, მომსახურება არასავალდებულო ხასიათისაა, ხორციელდება ნებაყოფლობითობის საფუძველზე, მშობლების სურვილის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში თუ მშობელი გამოთქვამს სურვილს თავისმა შვილმა მიიღოს გახანგრძლივებული სწავლების მომსახურება, სკოლა შპს ,,ეტალონს'' აწვდის იმ მოსწავლეთა სიას, რომლებსაც უნდა გაეწიოს შესაბამისი მომსახურება.

მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ აქვთ ინფორმაცია სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურების თაობაზე გახანგრძლივებული ჯგუფის სახით და იღებენ აღნიშნულ მომსახურებას. თუმცა, მათი ინფორმაციით აღნიშნული მომსახურება ხორციელდება უშუალოდ სკოლის პერსონალის მიერ და არ ფლობენ ინფორმაციას შპს ,,ეტალონთან'' სკოლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების თაობაზე. სკოლასა და მშობლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება არ მოიცავდა პირობებს გახანგრძლივებული სწავლების შესახებ დამატებითი მომსახურების არსებობის თაობაზე. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში (2023 წლის 19 დეკემბრის ცვლილებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით) არსებული ჩანაწერის თანახმად, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას სკოლა მოსწავლეებს ამ ეტაპზე არ თავაზობს. დადგინდა, რომ სკოლას მშობლებისთვის არ ჰქონდა მიწოდებული სრულყოფილი ინფორმაცია დამატებითი სერვისების გაწევის დეტალური პირობების შესახებ.

<u>არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა მშობლებსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება გახანგრძლივებულ ჯგუფში მომსახურების გაწევის თაობაზე. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია მომსახურების მიზნები, პირობები, მითითებული საგნები, რომელთა სწავლებასაც განახორციელებს გახანგძლივებულ ჯგუფში.</u>

სკოლას მიეცა **რჩევა** მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მკაფიოდ გაწეროს, რომ მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს შპს ,,ეტალონთან" გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში და აღნიშნული ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებით.

<u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შპს ,,ეტალონსა" და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
2. სასკოლო სასწავლო გეგემა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N 1 – ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 30.04.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: